სილაბუსის შევსების ინსტრუქცია

სასწავლო კურსის განხორციელება ეფუძნება შესაბამის სილაბუსს. ის განსაზღვრავს სასწავლო კურსის სწავლების გეგმას, და გარდა ამისა, აწესრიგებს ლექტორისა და სტუდენტის ურთიერთობას – სასწავლო კურსის დაწყებისას სტუდენტი სილაბუსის საშუალებით იგებს, თუ რა და როგორ უნდა ისწავლოს, რომ სასურველ შედეგს მიაღწიოს. მეორე მხრივ, სილაბუსის მეშვეობით უნივერსიტეტის ადმინისტრაციას შეუძლია შეამოწმოს ლექტორის აკადემიური მუშაობის გარკვეული ასპექტები.

სილაბუსის შესავსებად უნდა გამოიყენოთ სპეციალური ფორმა, რომლის ჩამოტვირთვა შესაძლებელია სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ვებ-გვერდიდან.

ქვემოთ მოტანილი რეკომენდაციები გაგიადვილებთ სილაბუსის შედგენას.

სასწავლო კურსის დასახელება

მიუთითეთ სასწავლო კურსის სრული სახელწოდება.

ფაკულტეტი

მიუთითეთ ფაკულტეტი, რომელზეც ისწავლება მოცემული სასწავლო კურსი.

საგანმაათლებლო პროგრამა

მიუთითეთ საგანმანათლებლო პროგრამა, რომელზეც ისწავლება მოცემული სასწავლო კურსი.

სასწავლო კურსის პარამეტრები

სწავლის საფეხური

მიუთითეთ სწავლის საფეხური (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა).

სწავლების წელი

მიუთითეთ სწავლების წელი, რომელზეც მიმდინარეობს ამ სასწავლო კურსის სწავლება.

სასწავლო წელი

მიუთითეთ აკადემიური სასწავლო წელი, რომელშიც მიმდინარეობს ამ კურსის სწავლება (მაგ. 2020-2021).

სემესტრი

მიუთითეთ სასწავლო წლის სემესტრი (პირველი ან მეორე), რომელშიც მიმდინარეობს ამ სასწავლო კურსის სწავლება.

ECTS კრედიტი

მიუთითეთ ამ სასწავლო კურსის ECTS კრედიტების რაოდენობა.

საათები

მიუთითეთ სასწავლო კურსით გათვალისწინებული საათების სრული რაოდენობა (საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის). ვინაიდან სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში 1 ECTS კრედიტი=25 სთ, საათების სრული რაოდენობა განისაზღვრება სასწავლო კურსის კრედიტების რაოდენობის გამრავლებით 25-ზე.

სტატუსი

მიუთითეთ, სავალდებულოა თუ არჩევითი ეს სასწავლო კურსი მოცემული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში.

სტუდენტის სასწავლო დატვირთვა

საკონტაქტო მუშაობის საათები

მიუთითეთ სასწავლო კურსით გათვალისწინებული საკონტაქტო საათების რაოდენობა სალექციო, სამუშაო ჯგუფში მუშაობის, სემინარის, ლაბორატორიული (ან სხვა) მუშაობის, აგრეთვე შუალედური და დასკვნითი შეფასებების მიხედვით.

დამოუკიდებელი მუშაობის საათები

მიუთითეთ სასწავლო კურსით გათვალისწინებული დამოუკიდებელი მუშაობის საათების რაოდენობა, რომელიც მიიღება საათების სრული რაოდენობისა და საკონტაქტო საათების სხვაობით.

პასუხისმგებელი ლექტორი/პასუხისმგებელი ლექტორის ასისტენტი

გვარი, სახელი

მიუთითეთ, შესაბამისად, სასწავლო კურსის პასუხისმგებელი ლექტორის/პასუხისმგებელი ლექტორის ასისტენტის გვარი და სახელი.

თანამდებობა

მიუთითეთ, შესაბამისად, სასწავლო კურსის პასუხისმგებელი ლექტორის/პასუხისმგებელი ლექტორის ასისტენტის თანამდებობა.

საკონტაქტო ინფორმაცია

მიუთითეთ, შესაბამისად, სასწავლო კურსის პასუხისმგებელი ლექტორის/პასუხისმგებელი ლექტორის ასისტენტის ტელეფონი და ელ-ფოსტა.

ინდივიდუალური მუშაობა

შესაბამის გრაფაში მიუთითეთ სტუდენტებთან ინდივიდუალური მუშაობისათვის გათვალისწინებული კონკრეტული დღეები და დრო.

პასუხისმგებელი ლექტორის ასისტენტი

თუ სასწავლო კურსის განხორციელებაში რამოდენიმე ლექტორი/პასუხისმგებელი ლექტორის ასისტენტია ჩართული, შესაბმისი ინფორმაცია ყველას შესახებ უნდა იქნეს მითითებული.

სასწავლო კურსის მიზნები

მოკლედ აღწერეთ კურსის ძირითადი მიზნები. სილაბუსის ეს ნაწილი ზოგად წარმოდგენას უნდა იძლეოდეს იმის შესახებ, თუ რისთვის არის ამ კურსის შესწავლა საჭირო.

სწავლის შედეგები

აღწერეთ სასწავლო კურსით გათვალისწინებული სწავლის შედეგები, რომელიც უნდა აერთიანებდეს „ცოდნასა და გაცნობიერებას“ (სწავლის ან საქმიანობის სფეროსთან დაკავშირებული ინფორმაციის, ფაქტების, პრინციპების, თეორიების, თეორიული და პრაქტიკული მეთოდების ასიმილაციის შედეგი), „უნარს“ (კონკრეტული დავალების შესრულებისა და პრობლემების გადაჭრისათვის შესაბამისი ცოდნის გამოყენების შესაძლებლობა) ან/და „პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას“ (ღირებულებებითა და დამოუკიდებლობის შესაბამისი ხარისხით სტუდენტის მიერ ცოდნისა და უნარების გამოყენება). სილაბუსის ეს ნაწილი ძალიან მნიშვნელოვანია, რადგანაც აქ მოცემული ინფორმაციით უნდა განისაზღვროს, თუ რამდენად ადეკვატურია სწავლებისა და შეფასების მეთოდები/ხერხები და ფორმები, სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურა და ა.შ. შეეცადეთ, სწავლის შედეგები აღწეროთ კონკრეტულად.

სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობები

მიუთითეთ, რომელი სასწავლო კურსები უნდა ჰქონდეს უკვე გავლილი სტუდენტს, რომ დაიშვას ამ კურსზე. თუ სასწავლო კურსი იკითხება ბაკალავრიატის ან მაგისტრატურის პირველ სემესტრში, ცხადია, მისი შესწავლა წინაპირობას არ საჭიროებს.

სწავლებისა და სწავლის მეთოდები

მიუთითეთ, სწავლებისა და სწავლის რა მეთოდები/ხერხები/აქტივობები გამოიყენება სასწავლო პროცესში დასახული მიზნების მისაღწევად.

სასწავლო კურსის შინაარსი

ჩამოთვალეთ სასწავლო კურსით გათვალისწინებული მეცადინეობების თემები. საჭიროების შემთხვევაში შეგიძლიათ გამოიყენოთ შენიშვნის გრაფა მოცემულ თემასთან დაკავშირებით სტუდენტებისათვის დამატებითი ინფორმაციის მისაწოდებლად.

შეფასების კრიტერიუმები

მიუთითეთ შეფასების კომპონენტები (შუალედური და დასკვნითი), აგრეთვე თითოეული შეფასების კომპონენტისათვის განსაზღვრული მაქსიმალური ქულა და მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. შეფასების თითოეული კომპონენტისათვის მიუთითეთ გამოყენებული შეფასების მეთოდები, აგრეთვე თითოეული მეთოდისათვის - შეფასების მაქსიმალური ქულა. წარმოადგინეთ შეფასების

კომპონენტებით გათვალისწინებული აქტივობების შეფასების სქემები. გაითვალისწინეთ, რომ შეფასების შესახებ ინფორმაცია სტუდენტებს ყველაზე უფრო მეტად აინტერესებთ. ამიტომ ის მაქსიმალურად დეტალურად უნდა იქნეს აღწერილი, რათა თავიდან აიცილოთ გაუგებრობა.

სავალდებულო ლიტერატურა

მიუთითეთ ძირითადი სახელმძღვანელო(ები) ან კონსპექტი, რომლის მიხედვითაც მიმდინარეობს სწავლება; სასურველია მიუთითოთ, სად შეუძლია სტუდენტს ამ ლიტერატურის მოპოვება (უნივერსიტეტის, ფაკულტეტის ბიბლიოთეკა, კათედრა და ა.შ.).

დამატებითი ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა

მიუთითეთ წიგნი, სამეცნიერო სტატია, ვებ-გვერდი და სხვა სასწავლო მასალა, რომელის გამოყენება ხელს შეუწყობს სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას.